

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და დაუმთავრებელი ფლიგელის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 5 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,5 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

თბილისის №3 საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის და დაუმთავრებელი ფლიგელის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

- 1) დროებითი ღობის მოწყობა სადემონტაჟო მოედნის გარშემო;
დროებითი დახურული გასასვლელების მოწყობა.
- 2) დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა.
- 3) შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.
- 4) მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.
- 5) სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.
- 6) ქუჩების შემაერთებელი საცალფეხო გზის (ძირითადი კორპუსის მარცხნივ) გაუქმება დროებითი ღობეებით ჩაკეტვით.
- 7) მეზობლად განლაგებული და სახიფათო ზონაში მოხვედრილი შენობების თავზე ლითონის ბადის დამცავი დახურვის მოწყობა (სახიფათო ზონის საზღვრებში).
- 8) არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟი
- 9) სადემონტაჟო ფლიგელში შესასვლელი კიბის ბაქნის დემონტაჟი
- 10) იწყება არსებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, რომელიც გრძელდება ძირითად პერიოდშიც.

ძირითად პერიოდში ხორციელდება ძირითადი კორპუსის, დაუმთავრებელი ფლიგელის და ერთსართულიანი შენობების სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

ა) ძირითადი კორპუსი

ეტაპი - სახურავის და სხვენის დემონტაჟი

IIეტაპი- IVსართულის დემონტაჟი

IIIეტაპი - III სართულის დემონტაჟი

IV ეტაპი - II სართულის დემონტაჟი

V ეტაპი- I სართულის დემონტაჟი

VI ეტაპი- სარდაფის სართულის დემონტაჟი

VII ეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი

ბ) დაუმთავრებელი ფლიგელი:

Iეტაპი -დახურვის წიბოვანი ფილების დემონტაჟი

IIეტაპი- III სართულის დემონტაჟი

IIIეტაპი - II სართულის დემონტაჟი

IVეტაპი- I სართულის დემონტაჟი

Vეტაპი- სარდაფის სართულის დემონტაჟი

VIეტაპი- საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები ყველა ობიექტზე სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“, „სახურავიდან -საძირკვლების“ ჩათვლით - ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

ყველა ობიექტზე ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში.

თითოეულ სადემონტაჟო სართულზე სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)კომუნიკაციების,იატაკების,შეკიდული ჭერების დემონტაჟი

ბ)ტიხრების,კარებებისა და ფანჯრების დემონტაჟი

გ)მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი თითოეულ სართულზე
სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა)გადახურვის ფილების, რიგელების და კიბის დემონტაჟი

ბ)აგურის ბლოკის და ქვის მზიდი კედლების, რიგელების, ზღუდარების
და ანტისეისმური სარტყელის დემონტაჟი, ბეტონის მსხვილი ბლოკების
კედლების დემონტაჟი

გ)სვეტების დემონტაჟი

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას
დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა
გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია
(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად
უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და
მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან -საძირკვლების“ ჩათვლით, შენობის სართულების მიხედვით, ამასთანავე ქვედა სართულზე დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვერტიკალურ სიბრტყეში მისი ზედა სართული მთლიანად დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. სართულებზე პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

იატაკების დემონტაჟი უნდა მოხდეს ელემენტურად ხელით, მცირე მექანიზაციისა და ხელის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ტიხრების, კარებების, ფანჯრების, სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

აგურის, ბლოკის და ქვის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი აგურის, ბლოკისა და ქვის კედლების დემონტაჟი

1)ხდება კონსტრუქციის ორივე მხარის კვანძური შეერთებების გაშიშვლება ნალესისგან

2)ელ.ჩაქუჩით ხდება კონსტრუქციის ორივე მხარეს ბეტონის შრის დაშლა და არმატურის კარკასის გაშიშვლება კვანძურ შეერთებებში.

3)ხდება კონსტრუქციის დაჭერა ამწით ბაგიჩამჭიდების საშუალებით.

4)ხდება კონსტრუქციის არმატურის კარკასის კვანძური შეერთებების ჩაჭრა ორივე მხარეს და კონსტრუქციის ჩამოღება ამწით. მთელი ამ სადემონტაჟო ოპერაციის დროს კონსტრუქციის ჩამოვარდნის თავიდან აცილების მიზნით კონსტრუქცია დაჭერილია ლითონის ბაგირჩამჭიდებით.

რკ/ბეტონის რიგელების დემონტაჟი ხორციელდება შემდეგნაირად:

1.ხორციელდება კვანძებთან რიგელის არმატურის კარკასის გაშიშვლება ბეტონისგან ორივე მხარეს.

2. ამწის ბაგირებით ჩაჭიდება რიგელზე და კონსტრუქციის დაჭერა

3.კონსტრუქციის არმატურის კარკასის კვანძებთან შეერთების ჩაჭრა ორივე მხარეს

4.რიგელის ჩამოღება ამწით მიწაზე

რკ/ბეტონის სვეტების დემონტაჟი ხორციელდება შემდეგნაირად:

1. ხორციელდება კვანძთან სვეტის არმატურის კარკასის გაშიშვლება ბეტონისგან

2. ამწის ბაგირებით ჩაჭიდება სვეტზე და კონსტრუქციის დაჭერა

3. სვეტის კვანძის არმატურებთან სვეტის არმატურის შეერთების ჩაჭრა

4. სვეტის ჩამოღება ამწით მიწაზე.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 1მ³. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები, დეტალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

სკოლის ძირითადი კორპუსის და დაუმთავრებელი ფლიგელის სადემონტაჟო სამუშაოები (ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; აგურის და ბლოკის გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი; მიძიე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; ვარგისი მასალების ჩამოღება; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება მოძრავი კომპურა ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 8 ტნ, კბ-403ა და საავტომობილო ამწის (16ტ ტვირთამწეობით) გამოყენებით (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“ - ნახაზი მო-1).

კომპურა ამწე მუშაობს როგორც 25მ, ასევე 30მ ისრულ შესრულებაში.

საავტომობილო ამწე მუშაობს ისრულ და ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწეები მოძრაობენ შენობის ეზოში, კონტურის გასწვრივ გარეთა მხრიდან, კონტურთან მიხედვით 5.0 მ-ზე.

ერთსართულიანი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი ხორციელდება საავტომობილო ამწით.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება სართულებიდან ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით, ასევე კომპურა ამწით, კბ-403ა და საავტომობილო ამწით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები.

დაუმთავრებელი ფლიგელის მეზობლად არსებული ერთსართულიანი შენობების (მაღაზია და სატრანსფორმატორო ქვესადგური) უსაფრთხოების მიზნით ამ შენობების თავზე, სახურავიდან 50 სმ-ით ზემოთ, სადემონტაჟო ფლიგელის კედელზე ეწყობა დროებითი დამცავი ლითონის ბადე ფიცარნაგით (სახიფათო ზონის ფარგლებში), იხილეთ „სადემონტაჟო სქემები“ -ნახაზი -მო1.

ასაწყობი კონსტრუქციების დემონტაჟის დროს სადემონტაჟო ფლიგელის კონტურიდან კომპურა ამწის ისრის გამოსვლის შემდეგ ხდება ისრის შვერისა და კაკვის აწევის სიმაღლის შემცირება თანდათანობით (ღია სასაწყობო მოედნამდე). მუშაობის დროს ამწეს აქვს ისრის მოტრიალების, ისრის შვერის და კაკვის აწევის სიმაღლის შეზღუდვები.

არასადემონტაჟო ფლიგელის (4/4 -ლტოლვილთა საცხოვრებელი) და სკოლის ძირითადი კორპუსის მიჯნაზე სადემონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს არასადემონტაჟო ფლიგელის კონსტრუქციების დაზიანების გარეშე, ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირითადი კორპუსის სარდაფის და საძირკვლების დემონტაჟის დროს არასადემონტაჟო ფლიგელის სარდაფის და საძირკვლების დაცვას დაზიანებისგან, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს არასადემონტაჟო ფლიგელის საძირკვლების გამაგრება ან დაგრძელება.

ყველა სადემონტაჟო სამუშაო არასადემონტაჟო ფლიგელის და ძირითადი კორპუსის მიჯნიდან 10 მ-ის მანძილზე ახლოს (ძირითადი კორპუსისკენ) აკრძალულია სანგრევიტექნიკის გამოყენება. ამ რადიუსში ძირითადი კორპუსის სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს ხელით, მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით.

ძირითადი კორპუსისა და არასადემონტაჟო ფლიგელის (ლტოლვილების) მიჯნიდან 10 მ-ის მანძილზე ახლოს (ძირითადი კორპუსისკენ) სადემონტაჟო სამუშაოები შესრულდეს სამხარაულის